

Handwritten marks at the top left, including a circled '10' and some illegible scribbles.

პროქმსორი კატანოვი
დ
ქართული ისტორიის მუზეუმი

თხზულება

დიმიტრი ბაქრაძისა

29891

Handwritten text on the right side, including 'ქართული ისტორიის მუზეუმი' and 'მ. ბ.'.

გამცემი

შაქარია შიჭინაძისაგან



თბილისი

ექვთიმე სულაძის სტამბა
1884



Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Октябръ 1884 г.

პროქმსორი პატაროვი და მართული ისტორიის წყაროები.

საკვირველია და ამასთანავე სამწუხაროა ის ბედის-წილი, რომელიც ჩვენის ისტორიის გამოკვლევისა სდევნის. აქ ჯერ ის უნდა ვთქვათ, რომ არ არის დიდი ხანი მას აქეთ, რაც მსწავლელნი დაწმუნებულნი იყვნენ, ვითომც საქართველო მეტად ღარიბი იყოს ისტორიულის მასალებით და ვითომც თუ რაიმე გვაქვს ჩვენ ამ გვარი, ისიც ვასტანგ მეფისაგან სხვა-და-სხვა სომხურის ხრონიკებიდან უსერსულად მიკერძოებული; მაგრამ როდესაც 1822 წ. პარიჟში დაარსდა «ზოიური საზოგადოება», ერთმა იმის წევრთაგანმა, სასულ-განთქმულმა სენ-მარტენმა დააწმუნა ეს საზოგადოება, რომ საქართველო ისტორიულის წყაროებით არ არის ღარიბი, როგორც ფიქრობენ, და რომ იმათი ცნობაში მოუგანა ნათელს მოჭყენსო აღმოსავლეთის წარსულს ცხოვრებას. ამ აზრს სენ-მარტენი ამყარებდა აქა-იქ მიმოფანტულს ევროპიულსა და განსაკუთრებით სომხურს ცნობებზე, რომელნიც იმას ზედ-მიწევნით ჭჭონდა შესწავლული. სენ-მარტენის წინადადებით ხუთიოდე წევრი საზოგადოებისა გულ-მხურვალედ შეუდგა საქართველოს ისტორიის გამოკვლევისა; მაგრამ, საუბედუროდ, ისინი ყველანი მოკლე დროში დაიხრცნენ; დარჩა იმათგანი მხოლოდ ერთი, მარცხ ბრალს, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ჩვენის ისტორიის

რის ასპარეზზე 1837 წ. პარიჟიდან გადიტანა ჰეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში. ბრასემ თავის შრომით სენ-მარტინის აზრი სრულებით განამართლა: ბრასემ აღმოაჩინა მოულოდნელი ქართულსა და სომხურს ენებზე სხვა-და-სხვა დროის სიტყვები; შეუთანხმდა ივანე კერამბიულსა და აზიურს წყაროებსა; გამოიკვლია ადგილობრივი ანსეოლოგიური ცნობები; გაანალიზა კერამბის წარსული საუკუნოების ნაწარმოები—მანუსკრიპტები სხვა-და-სხვა საგნებზე; განიხილა მრავალი გუჯრები, სიგელები და სხვ.

მოკვდა ბრასე (1881 წ.) და შეხერდა ეს შესწავლა. ამ გვარ შემთხვევაში ბედის-წერა დიად მომეტებულად ეწევა სომხობას. შეთვრამეტე საუკუნეიდან, მეხიტარისტებისაგან დაწვებული, სომხურის ისტორიის შესწავლა აქამომდე არ შეწყვეტილა კერამბში და რუსეთში. ბრასე თითქმის მარტოდ-მარტოდ მოღვაწეობდა და ამის გამო, რაღა საჭიროა თქმა, ერთი კაცის შრომა ვარ შეედრება მთელი გუნდის ნაწარმოებს სომხეთზე თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში. მართალია, ბრასეს შრომამ მოლოდინსა დასდო ქართული წყაროების გამოკვლევისა, მაგრამ ეს საფუძველი იმ გვარია, რომ ვისაც კი თვალი გადაუვლია იმისათვის, ის ან გონება-დასმული უნდა იყოს, ან განგებ იფარებდეს თვალსა, თუ არა ჭსე-დავს, რა გამოსაკვლევს სიმიდრეს უჩვენებს იგი მომავლის დროისათვის.

ეს აზრი აღძრს ჩვენში პრეტესორის პატკანოვის მსჯელობაში ქართულს ისტორიაზე. ჩვენ გვჯერა, რომ ბ. პატკანოვი მეცნიერი კაცია და, როგორათაც მცოდნე სომხურის ისტორიისა, კერამბისა ცნობილია. ჩვენ ყურადღებით ვკითხულობთ ყოველს იმის შრომას, მაგრამ უნდა გამოვტყულოთ, რომ

იმისი მეცნიერება ჩვენს თანაგრძნობას კერძოდ აწიდავს. ჩვენის ფიქრით, ბ. ჰატვანოვი არ არის გულ-წრფელი მეძიებელი ისტორიკოსის სიძარტლისა. ის კერძოდ ითვსებს ვერც ერთს ცხოველს და უეჭველ ძაქტებსე დამყარებულს აზრს ქართული ისტორიისას, თუ ეს აზრი ეწინააღმდეგება იმის აზრს სომხურს ისტორიაზე. ჩვენთვის ერთგვარ ძვირფასია რეგოვანთა სომხური, აგრეთვე ქართული წყაროები: ჩვენის ფიქრით, ერთმა მეორე უნდა შეასწოროს და შეაგოს: ასეც ფიქრობდენ სენ-მარტენი და ბროსესე. ამ პრეგრამას არ ადგას ბ. ჰატვანოვი. ის დასკვნად ქართულს აზრს ან უხუმდება, ან თუ იგი მოჭყავს, მოჭყავს გადასხვაფერებით, იმ გვარად, რომ ბინდი დასადაც მის წინააღმდეგს აზრს, ქართულს ისტორიულ წყაროს, თვით ჩვენ წინაშე არის ხასიათს.

არ იფიქროთ, რომ ჩვენ აქ პირიქითა მივსდევთ; აი საბუთებიც:

1) ერთს თავის შენიშვნაში სტეფანოს ობედიანის ისე ტორიაზე ბ. ჰატვანოვი ამბობს და შედგომაც იმეორებს: «ქართული ლიტერატურა ღარიბია ძველის წყაროებით, და თვით სტეფანოსი მე-XIII საუკ. უზივის ამ ნაკლულეკანებას... ჩვენ ახლაც ორი სხვა-და-სხვა თარგმანი გვაქვს სტეფანოსის ისტორიისა: სენ-მარტენისა და ბროსესის, რომელშია სტეფანოსი სწერს: «ამ ცნობებს (ობედიანთ გვარსე) ქართლის-ცხოვრება ყრუდ გვიჩვენებს, რადგანაც გიორგი მე-ფემ, რაკი ობედიანთ გვარი საქართველოში ამოსწყვიტა, აღმოფხარა იმათი სასული ისტორიაში, ყველა სამწერლო ძეგლებში და ეკლესიებში. ჩვენ განვიხილეთო აქა-იქ ცათვანტული, გადაჩენილი ნაშთები და მხოლოდ ეს მცირე რაიმე კვლეოთო... ეს სიტყვები სრულებით არ უჩვენებენ სიღარიბეს ჩვე-

ნის წყაროებისას, და ამასთანავე სტეფანოზი თავის ისტორიაში ხშირად იხსენიებს «ისტორიულ დაკორებს და სამეფო აჩხივებს» საქართველოსას.

2) საქართველოს, როგორც დ. ფურცელაძის ბროშურის «Грузинские Гуджары» ამტკიცებს, გუჯრები მეოთხე-ტე საუკუნეზე ადრე არა ქვენიან. ერთი ესა, რომ სხვა უკეთესი ბრასესაგან შეკრეფილი წყაროები გუჯრებსე, მოაზრება ზეტერბურგის სამეცნიერო აკადემიაში. ეს წყაროები უფრო ძველს გუჯრებს უჩვენებენ. მეორე ესა, რომ თვით ფურცელაძისაგან ნათარგმნი გუჯარი (გვ. 120) უჩვენებს გუჯარს ვარამ მამფალისას, რომელიც მოკვდა 883 წელს. თუ მივძარბათ ქართლის-ცხოვრებას, ამ გუჯარზედაც ბევრით ადრინდელს გუჯრებსა ვხვებით.

3) ტაიგი, ანუ დაიგი, ქართულის წყაროების ტალს-გარი ანუ ახლანდელი ჭორჩხის-სეობა, როგორც ზოგიერთნი სომხეთის მემატიანენი ამტკიცებენ, ძველად ეკუთვნოდა სომხებს. ბ. ზატკანოვი ერთ შენიშვნაში ამბობს, ვითომც მათე საუკუნეში ეს მხარე ქართველებს სომხეთისათვის მოგვლიჯათ. თუ ბ. ზატკანოვს ისტორიულ საბუთად არ მიაჩნია ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე ზორფიროგენის (911—959) წერილი, — ქართულ მწერლობასე არას ვიტყვი, — რომელშიაც კონსტანტინე უჩვენებს მათე საუკუნეზე ადრე ქართველ ბაგრატიდთ მოღობელობას ჭორჩხის-სეობაში, საიდანაც იმათ დაეპყრათ ვიდრე თვით არწრუმი და სხვა ნაწილება სომხეთისა, — შეუძლიან უარ-ჭყას მოწმობა ქართულის ეკლესიებისა და მონასტრებისა ქართულიავე წარწერებით, რომლებითაც საესეა მთელი ჭორჩხის მხარე და რომელთაგანნი ზოგნი ეკუთვნის ბერკე და მეცხრე საუკუნეებს? რამდენიმე ამ ეკლესიათაგანი

სომხის ვარდაპედის სარგისიანისაგან არიან აღწერილი, ბრესკისაგან განხილულნი და აკადემიის მემუარებში დაბეჭდილნი. გვერწმუნოს ბ. ჰატვანოვი, რომ ჩვენ თვითონ მოგვივლია მთელი ახლად შემოერთებული ბათუმისა და ყარსის მხარე, მაგრამ ანტ ერთის საგუნის კვალი სომხეთისა ჭოროხის ხეობაში არსად გვინახავს, მაშინ როდესაც საქართველოს ძველი გაკუნა ცხადადა სჩანს შუაგულ სომხეთში, ყარსის მხარეს.

4) მოსე სონერელი «სომხეთის გეოგრაფიაში» იხსენიებს «დეჰანის, ესე იგი ქალდეას», ანუ ჩვენებურად ჭანეთს. ბ. ჰატვანოვი თავის შენიშვნაში ამბობს, ქალდეა შეადგენდა ნაწილს სომხეთის სამეფოსას. როდის და სად არის ნამდვილი ისტორიული ძაგტი ამ საგანზე?

5) ერთი შემთხვევაა მოყვანილი თამარ დედოფლის დროს ქართლის ცხოვრებაში, რომელიც უჩვენებს ქართველ-სომხების საიდეოლოთა განსეთქილებას საწმუნოების გამო და რომელიც ჩვენ ყოველთვის ზღაპრად მიგაჩნდა. (იხ. ქართ.-ცხოვ., 313—317; Hist., la Géor., I, 450—455). ბ. ჰატვანოვს მთელი ეს ზღაპარი შემოაქვს თავის შენიშვნაში და დასასრულ ამბობს: «მე ამ შემთხვევას ვუჩვენებო, როგორათაღ დასამტკიცებელს საბუთს ქართველების ქანატიზმისას.» ამ გვარი საბუთები ჩვენ შეგვიძლიან სხვებიც ვუჩვენოთ ბ. ჰატვანოვს ქართლის ცხოვრებაში სომხების შესახებ, და თვით სომხურ ისტორიაში ჩვენს შესახებ; მაგრამ ნუ თუ იგინი უმტკიცებენ სომხის მეცნიერს ქართველობის ქანატიკობას, ანუ ქართველ მეცნიერს სომხობის ქანატიკობას? თუ ხალხის ქანატიკობის საბუთად ჩათვლება რაიმე, არა თუ ზღაპრული თქმულება, არამედ ნამდვილი ისტორიული ძაგტი, ჩვენ მოვაგონებთ ბ. ჰატვანოვს ერთს სამწუხარო განაჩენს სომხურის ვრების დვი-

ნისას (596 წ.) საღვიდონის ვრების გამო, რომელმაც სარწმუნოებით დააშორა ერთმანეთს ქართველობა და სომხობა. ეს განაჩენი შემოტანილია ნატეანოვისაგანვე რუსულად თარგმნილს გალანგატკატის ისტორიაში, რომელიც ეკუთვნის მეცხრე საუკუნას. აქართველებზე, ამბობს სომხის კათალიკოსი აბრაძი, ჩვენ ვბძანეთ, რომ სომხებმა ამის შემდეგ არ იქონიონ იმართან არავითარი ვაგშირი არც ლოცვაში, არც სმა-ჭამაში, არც მეგობრობაში, არც შეილების აღზრდაში; არ ვაბედონ მგზავრობა სალოცავად, როგორათაც სასულ-განთქმულის მცხეთის ჯვარისა, აგრეთვე მანგლისის ჯვარისა; არ მისცენ მათ ნება სიარულისა ჩვენს ეკლესიებში; ერთდენ იმართან დამოკიდებულობას ცოლ-ქმრობისას. ნება ეძლევათ მხოლოდ აღებ-მიცემობისა იმართან, როგორც ურბეთან. ვინც ამ ბძანებას უარყოფს, წყუელმცა არს იგი სულით და სოარცით და ყოვლის ცხორებით» (გვ. 216—217). აი ამ გვარი ძაკტი ამტკიცებს ძანატივობას, მაგრამ ვისას? სამღვდელს დასისას, ისიც, ჩვენას იფიქრით, მტირედის ნაწილისას, და არა მთელის დასისას. ვარაუდ ამ დასისა ძანატივობას საქმე არა აქვს. ჩვენ არ ვიცით მაგალითი, რომ ოდესმე სომხობას და ქართველობას ძეგლებური დამოკიდებულობა ერთმანეთში შეეწყვიტოს. როგორც ახლა ჩვენ სოფლებში მცხოვრებთ ორ ტომთა შორის ერთმანეთის სიმუდელი სარწმუნოების გამო არ აჩსებობს, არ აჩსებობდა ძეგლათაც. ნუ თუ ჩვენს ახრს არ ემოწმება სომხეთის მისტორიეთა თქმულება, — რადესაც იგინი, მაგადა, სტეფანოს ახოლივი და არისდაგეს ლასდივერი მეთერთმეტე საუკუნეში, მათეას ედესელი მეთორმეტე საუკუნეში და ვარდან დიდი მეცამეტე საუკუნეში აღტაცებით იხსენიებენ საქართველოს მეფეების მწიუნველობას სომხების კეთილ-დღეობაზე და მო-

ნასტრებზე? ამ საგანზე ჩვენ სიტყვას ვაბოლოებთ, მაგრამ საჭიროდ ვხადით ერთი რჩევა მივცეთ, როგორც ბ. ჰატვანოვს, აგრეთვე ახლანდელ დროის სომხის მსწავლულთა. დროა უყუ-
ავდონ მათ ის უაზრო და საკიცხავი ძიარა, რომელსაც იგი-
ნი ყოველ შემთხვევაში იძულებენ, ვითომც ქართველებმა დას-
ტოვეს ჭეშმარიტი აღსარება და ამის გამო იგინი დაჭმორდენ
სომხობას.

ამ წელს ბ. ჰატვანოვმა გამოსცა ახალი შრომა (О древ-
ней Гнүзинской хроникѣ (журн. мин. народ. просв.,
1883, декабрь), რომელშიაც იგი მოსახუბრობს ქართლის-
ცხოვრებაზე, ჩვენის ისტორიის დასაწყისზე. აქ დედა-აზრად
იმას აქვს ქართლის-ცხოვრების სათაური შენიშვნა, რომელიც
გვაცნობებს, ვითომც ვასტანგ მუფსა «მოქსენეს გუფარნი მცხე-
თისანი, გელათისანი და მანავლთა ეკლესიათა და დიდებულთა-
ნი და შეემარებინოს ქართლის-ცხოვრება და რომელი განწყენი-
ლიყო განემართოს და სხვადა წერილნი მოქსენეს, რომელიც
სომხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოქსენეს და ესრედ
აქუწერინოს». ამის გამო, ბ. ჰატვანოვი ქართლის-ცხოვრებას
თითქმის არ აძლევს არავითარ მნიშვნელობას. იმის აზრით,
ქართლის-ცხოვრება არ არის ძველის დროის ნაწარმოები...

ეს მხელის ხან-და-ხან აღმოკვეთა მსწავლულთ აზრში
ერთხელ შემთხვევით დანერგილის შეცდომისა, ამას გვიმტკი-
ნებს ის გარემოება, რომ აქამომდე ქართლის-ცხოვრება სრუ-
ლიად უსაფუძვლოდ არის ცნობილი «ვასტანგის ქართლის-
ცხოვრებად». ამ აზრზედ დამყარებულნი ზოგიერთნი თქმობ-
დენ და თქმობენ, ვითომც ქართველებს არა ჰქონდეთ ძველი
ისტორია. ამ შეცდომის ისტორია დიდად სასოგადო ყურად-
ღებისა და ამისთვის საჭიროდ ვრაცნთ მკითხველს იგი ავუსხნათ.

ვანტანგ მეფეზე ჩვენს გვაქვს მოთხრობა, რომელიც ეკუთვნის იმის შვილს ვანუშტის და სხვათა თანა-მედროე მწერალთა და რომელიც დაწერილია ვანტანგს უკუელს შემთხვევას იმის ცხოვრებაში. ამ მოთხრობით ვიცით, რომ ვანტანგს გაუჩენია ჩვენში სტამბა, დაუბეჭდია «ვეფხისტყაოსანი» თავის განმარტებით და საეკლესიო წიგნები, შეუდგენია სჯულ-კანონი; დასტულებია და სს. რა არის მისგან და იმის დროს დაწერილი, თუ თარგმნილი, ყველა ეს და სხვა ამ გვარა არ არის დაუწიებელი მის დროის მწერალთაგან. მაგრამ ქართლის-ცხოვრების შესწორება ვანტანგისაგან არც ერთის მათგანისაგან არ იხსენიება.

მიზეზი ზემოხსენებულის შეცდომისა, ჩვენის თეორიით, აიხსნება შემდეგის გარემოებით. ძველი ქართლის-ცხოვრება, რომელიც ვიცით, იყოფა ორ შეროდად: შირველი თავდება მეთათხმეტე საუკუნის დამდეგს, გიორგი ბრწყინვალის დროს; მეორე შეიცავს შემდეგის დროის გამკვლევას. მეორე შერიოდის ისტორია, შეუწყვეტელის არეულობის გამო საქართველში, არ ყოფილა შემუშავებული და რიგზე აღწერილი. აი რას ამბობს ამ საგანზე ვანუშტი თავის ისტორიის მეორე ნაწილის წინა-სიტყვაებაში: «...თუმიცა ვინაღვთ გუჯანთა, სიგელთა და ეკლესიებთა წიგნებთა შინა ქორწინებთა მათთა, რომელი აღუწერიათ ბრწყინვალის გიორგიდამ, ვიდრე ჩვენადმდე უკუელთა მეფეთა და მთავართა, და სხვათა კიუწყებთ ხსენა-მოთხრობათა და მცირედთა ცხოვრებათა მათთა წარწერთაგან; არამედ განჩევს საჭირო არს და უხმს შრომა დიდი. გარნა ამის განჩევისათვის წარმოვთქვით ბრწყინვალეს გიორგიდამ ვიდრე ჩვენადმდე. ხალხი აღუწერიათ ცხოვრებაგან სახელთა ლეკანის-მისა მეფის ვანტანგისათა, რომელიც არს საგონებელ არს

მის მიერ: განა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი.» შემდეგ ამის ვახუშტი უხვეუნებს სწორწინაობის შეცდომებს ამ აღწერილობისას, და წინასიტყვაობას ახლავს ამ სიტყვებით: «სოლო ჩვენი შრომა ამისთვის იყო, ვინადგან მეფის ვახტანგის სახელით აღეწერათ ღვიხილეთ ესეოდენი წინააღმდეგნი და უსწორებლობანი, ესენი განვასწორენით და განვამართლეთ მრწამსითა ზევით თქმულთა, რათა არავინ სთქვას მხილველმან ამისმან შეურაცხება რაიმე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრედ, ვითარცა აღვსწერეთ, ვინადგან ნათესაობისა ქორწინების სწორესა სწერს, გარნა შემწობი ამისი შეცდომილ არს.» ამ ვახუშტის სიტყვებიდან ჩვენ ეს დასკვნა გამოგვაქვს, რომ მისგან დაწერილი ახალი ისტორიული ცნობებია ჩვენის ქვეყნისა უნდა იყოს თვით ის აღწერა, რომელიც ვახტანგის ბრძანებით შეუდგენიათ და ვახუშტის ეს აღწერა მხოლოდ შეუსწორებია და იქნება შეუვსია ვიდრე. რომ ვახუშტისაგან ხსენებული შეცდომა შემდეგ იმისავე გაკრძელებული ყოფილა ქართველებში, ამას ამტკიცებს წარწერა ერთის ქართლის ცნობების გადაწერისა გიორგი მეფის დროს. ეს წარწერა ამბობს: «ამ ბრწყინვალის მეფის გიორგის შემდგომად ვახუშტი დასწერს... და რადგან მისის უმაღლესობის მეფის გიორგისაგან ვახტანგის თქმულზე მასქნდა ბრძანება გადაწერისა...» და სსვ. (ინილუ ქართ.-ცხ., 447, შენიშვნა 3).*)

*) საჭიროდ ვნადით აქ შემოვიტანოთ ერთი შესანიშნავი შენიშვნა, რომელიც ამ დღეებში ჩვენ აღმოვიკითხეთ ერთს ვახუშტის ისტორიის ვარიანტში, და რომელიც სრულებით ეწინააღმდეგება ზემოთ შემოტანილს ვახუშტის სიტყვებს. რამდენადაც ტექმართია ეს შენიშვნა, ჩვენ მომავლის გამოკვლევებისთვის მიგვინდვია. აი ეს შენიშვნა, რომელიც ჩართულია დავით რექტორის ხელით გადაწე-

წინა-სიტყვაობა ვახუშტისა, რომელსაც ჩვენ უჩვენებთ, ჩართულად ბრძოლას განამტკიცებს ქართლის-ცხოვრებაში (იხილეთ ქართ. ტექსტი, ნაწ. მე-II, გვ. 1—10, Hist. de la Géor., II, livr, 1—10) და ცხადი უნდა იყოს უკუას-თვის, რომ ახალი ქართლის ცხოვრების შემადგენელს სახელი, ესე იგი ვახტანგისა, თუძვა ესეც შენდომით მიღებული, მიუ-თვისებიათ თვით ძველის ქართლის ცხოვრებისათვის, ასე რომ იქნა ძველს ქართლის ცხოვრების კარბანტში, რომელნიც ვახ-ტანგის წინადაც არიან გადაწერილნი და ეკუთვნოდნენ თეიმურაზ ბატონიშვილს (ახლა ერთი იმათგანი ეკუთვნის ავადიძისა, მე-ორე რუმინსკოვის მუზეუმს), დასაწყისში შემდგომს ხელით არის მიწერილი ის სათაურით, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ, თუძვა ანაჰითარს მონაწილეობა ანუ შრომა ვახტანგისა არა ჩანს ამ კარბანტებში. ეს შენდომა მოსვლია თვით ზედ-მიწევ-ნით მცოდნეს ქართულად ისტორიისას თეიმურაზ ბატონი-შვილს. რაც კი იმას თავის ისტორიაში ძველის ქართლის-ცხოვ-

რილს ქართლის ისტორიის ბოლოში. «ხოლო ესე ქარ-თლის ცხოვრება (ესე იგი კერძო ცხოვრება ქართლის სამეფოს) პირ-ველ მეფეს ვახტანგს თვით ეკეთებინა ქართლს მყოფობასა, და მერე რუსეთს ძველთა გუფრებთა და ცხოვრებთა და მონუცებულ მანსოვარ მეცნიერთა საქართველოს კაცთაგან, დიდის გამოკვლევიით და გამოძი-ებით გუფრს-მოდგინედ რომ საქართველოს ცხოვრება ნოს შვილის იათუ-თის ქართლოსიდამ აქამომდე რა როგორ ყოფილა, ან მეფენი ვინა მსნდარან და ან რა უამები და დრონი ყოფილან. ბატონის-შვილის ვახუშტის თან-წლებით ეკეთებინა, და აღარ დასცალეობდა თანამდებო-ბისაგან სიკვდილისა. მერმე მეფე რომ ასურახანს გარდაცვალებულიყო, ბატონის-შვილს ვახუშტის შეესრულებინა და არს აქ მეფის ერეკლე-სამდის. და ამას იქით რაც იქმნას ქვეყანასა ამას საქართველოსა შინა, მახთანეთ მწერალოთ აღწერონ.» (გვ. 400).

რებიდამი შემოაქვს, ყველას მეფე ვასტანგს მიაწერს. ამ შეცდომას ცხადად გრძნობდა ბროსსე, ასე რომ, როდესაც იმან ძველადვე სამსუერ ენაზედ ნათარგმნი და მეთორმეტე საუკუნემდე მიყვანილი ქართლის ცხოვრება (Chronique arménienne) შეუთანასწორა ძველ ვარძანტებს ქართლის ცხოვრებისას, ზირდა-ზირ გამოსთქვა: «ამის შემდეგ მე აღარ შემოძლიან ძველი ქართლის-ცხოვრება მეფე ვასტანგს მივაწერო» (Hist. de la Géor., II, 2 livr. Introd., XVIII); მაგრამ მანც მან სრულებით ვერ უარ-ჭყო ღრმად დანერგილი შეცდომილება და ბროსე მანც რაღაც შრომას ვასტანგისას ჰხედავს ძველს ქარ-მთლის ცხოვრებაში, თუმიცა ან იცის, რა შრომაა ეს შრომა (ib., XXVII). აქამომდე ჩვენ თვითონაც ამ აზრისანი ვიყავით, რადგანაც ძველი ვარძანტები ან გვენახა; მაგრამ როდესაც ამ ცოტა ხანში შემთხვევით ჩავიკარდა ხელში ერთი ძველი ქართლის-ცხოვრება, გადაწერილი ვასტანგზე ადრე, 1636—1646 წ. რომელმაც მეფის მეუღლის მარიაშ დედოფლის ბძანებით (ეს წიგნი თვით ვასტანგ მეფესაც ჰქონია ხელში, როგორც ამას ამტკიცებს რამდენიმე იმის ხელთ მინაწერი), და როდესაც ეს ვარძანტი დაბეჭდილს ქართლის ცხოვრებას (დაბეჭდილი ქართლის-ცხოვრება დათუქმებულია განსაკუთრებით ორს ძველს თეიმურაზ ბატონიშვილის ვარძანტზე) მთლად შევადარეთ, აღმოჩნდა, რომ ვასტანგს ისე ანაგითარძი მონაწილეობა ანა აქვს ძველს ქართლის-ცხოვრებაში, როგორათაც მე და შენ, მკითხველო! ამ საგანზე ჯერ-ჯერობით გმარა. რაცა ვსთქვიო, ისიც ცხადად გვიჩვენებს, რამოდენადა ვართ ყველანი შემცდარნი, როდესაც ვასტანგის სახელს ქართლის-ცხოვრებას ვუკავშირებთ. ჩვენ ვთხოვთ ბ. ბატონოვს ყურადღებით გადავიკითხოს ყველა მასალა ამ საგანზე, რომელიც იმას ხელ-ჭკეშა

აქვს ჰეტეროგურგში და რომელსაც, მთლად თუ არა, მომეტე-
ბულ ნაწილს მანც, ჩვენ ჰეტეროგურგს გარეშე მოკლებულნი
გარტ.

თავის ასალ შრომაში ბ. ჰატკანოვს უმთავრეს საგნად
ისა აქვს, რომ, როგორც თვითონ ამბობს, გამომიძიოს, შეე-
ხება თუ არა ქართული წყარო იმ დროს, როდესაც ახლანდელთ
ეროვნულთ მეცნიერთ გამოკვლევა უჩვენებს ქართველ ტომს
ვანის ლურსმებრივ მწერლობაში, ესე იგი, ვითომც ძველის-
ძველად ქართველობა რდესმე გავრცელებული ყოფილიყო, ვიდ-
რე სომხები გამოჩნდებოდნენ, მთელს სომხეთში. ამ საგანზე,
როგორც გვაგონდება, ჰატკანოვი წინად წინააღმდეგს ამბობდა;
მაგრამ, რადგანაც სსენებულს აზრს უფრო და უფრო ითავისებს
ეროვნული მეცნიერება, მისთვის ახლა ცოტადნად ისიც ყოფ-
მანით სთმობს. ამ საგანს ჩვენ აქ არ შევხებით. ჩვენ მხო-
ლოდ გვსურს მკითხველს გავაცნოთ საუბრეული იმის მსჯელო-
ბისა ქართულ წყაროებზე. ის ამტკიცებს, რომ არა თუ ქარ-
თული მწერლობა არ იხსენიებს უძველეს ზეპირ-თქმულებას სა-
ქართველოს დასაწყისზე, არამედ შემდეგ ისტორიულ დრო-
სუდაც კი არავითარ მასალას არ გაძლეკვს, და თუ გაძლეკვს,
ისიც ერთად-ერთს ცნობილს შრომაში «სომხურ სრონიკაში»
—Chronique armén.—მართლდა, ეს სრონიკა ქართული-
დამ არის ნათარგმნი; მაგრამ იმისა დედანი უნდა იყოს შე-
თხზული ანუ შედგენილი უსწავლეულისა და უმეცარის სომხი-
საგან მეთარგმეტე საუბრეში, როდესაც ქართველებმა იგრძნეს
ისტორიის საჭიროება. დანაშთენი ცნობანი ძველს საქართვე-
ლოზე იშკვება მხოლოდ სომხურს ისტორიულს მწერლობა-
ში. ვახტანგზე ადრინდელს ქართლის-ცნობებზე არავითარი
ცნობა არა არის-რამ.

თუ პრეტენზიონი პატრიარქისა არა ჰქნება, აქამომდე მთელ-
წელს ვახტანგზე აღწინდელს ქართლის-ცხოვრებას, ეს ჩვენ
ზრდად არ არის. ჩვენ იმას ვუჩვენებთ რაი ამ გვარი ვაწიან-
ტი პეტრობურგში. ჩვენ იმასაც ვეტყვით ბ. პატრიარქს, რომ
ამ რაი ვაწიანტში და მათი ძირსადაც უნდა თანამართლებს არის სხვა-
და-სხვა იმისთანა ძეგლები, რომლებზედაც მან არა იცის-რა და
რომ სტრუქტურა, იქნება სრულებით სხვა დასკვნა შედგინა
ზოგჯერ სავსებით. რაც უნდა იყოს, რამ აფიქრებინა ბ. პატ-
რიარქს, ვითარცა ქართველი ერი ისეთ ველურ მდგომარეობაში
იყო, რომ ვერა გრძობდა საჭიროებას ისტორიისას მეთორ-
მეტე საუკუნემდე და აქაც კი, თუ არ იმეორებინა სომხის
შემოქმედებით, მან ვერ შესძლო თავისი ისტორია თვითონვე შე-
ედგინა;—ის ერი, რომელსაც, სტრუქტურის პირველის საუკუნის
დასაწყისს აღუვალებულ მდგომარეობაში გვიჩვენებს; რომელმაც
გასაწყისის ხელფარების ეკლესიებით და მონასტრებით მოჭ-
ფინა ძველის დროგანვე თავისი მხარე; რომელმაც გაავსა,
როგორც საქართველო, აგრეთვე საბერძნეთი და პალესტინა
ქართულის სამკაულებით და მანუსკრიპტებით და რომელმაც
ისეთი ცნობის-მოყვარეობა აღმოიჩინა, რომ ძველადვე ამ ცნო-
ბის-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ითარგმნა ქართულად
ფაქტობრივ ენაზე შედგენილი სანსკრიტული ზღაპარ-გარეობა
«ქილილა და მანა», ანუ უკეთ, «ქილილა-გე-დომანა» და
აგრეთვე «ვის—რამიანი» და თვით ქართულ ენაზე დაიწერა
დიდებული პოემა «ვეფხისტყაოსანი», რომელიც თავის თავათ
უჩვენებს არა მარტო ენობის განვითარებულ წარმატებას,
არამედ პოეტურის ხელფარების აღუვალებულ მდგომარეობა-
საც?

«მეცნიერთა შორის ქართლის ცხოვრების ისტორიულ მნიშ-

გულგობრვად ორ გვერდს, ამბობს უბედურად. — ზოგნი იმთ-
განნი, როგორც ბრძენსე და ანტიენისტი სენმარტენი გვერწმუ-
ნებენო, ვითომც ის იყოლო მკვლის დროის ნაწინამოები და
დიდს-შესანიშნავი თავის ცნობებით. ზოგნი ვი, იმათ შორის
სენგოვსკი, კლანი და ლანგლუა წინააღმდეგს აზრს ადგანანო...
ჩვენ არ გვესმის, რა შესაძარისნი იყვნენ აქ ეს პირნი: ერთი
ესა, რომ სენგოვსკი იყო უუნაღისტი, კლანი — ბოტანიკი, რო-
მელთაღ ანაწითანი ცოდნა არა ჭკონდათ ჩვენს ისტორიასე
და მასხადადმე არც სჯან შექმლოთ ქართლის-ცხოვრებასე; ამას-
თანავე სენგოვსკი არა თუ უარ-წყობდა ქართულ ისტორიას,
იმასაც ვი ამტკიცებდა, ვითომც ქართველი ტომი არ არსებობ-
და საქართველოში მეთორმეტე საუკუნემდე. მუდრე ესა, რომ
ლანგლუა ქართლის-ცხოვრებასე სრულებით არ არის იმ აზ-
რისა, რომელსაც მას პატარავი მიანწერს. ჩვენის ფიქრით,
საფუძველი მსჯელობისა ქართლის ცხოვრებასე ლანგლუასა,
სენმარტენისა და ბრძენსესი ერთი და იგივეა, თუმიცა, რასა-
კვირველია, თვით სასიათი მსჯელობისა თვითოეულს იმათგანს
სხვა-და-სხვა აქვს. ლანგლუას აზრით, ქართლის ცხოვრების
დასაწყისი უღაპრულია, როგორც ყველა ტომის ისტორიისა,
როგორც თვით სომხურის ისტორიისაც. ქართლის-ცხოვრება
წინამოკვიდგენს ორ განყოფილებას: პირველია ზეპირ-თქმულება,
ქრისტიანულ ნიადაგზე აშენებულად, რომელიც დროთი დრო
აღმოჩენს კვალს მკვლის გარდამოცემისას. ეს განყოფილება
თავდება მუქვესე საუკუნეში და ამ დროდამ იღვიძებს კრონო-
ლი აზრად. ისტორია ჭკარგავს მკვალს უღაპრულს სასიათს და
მყარდება ნამდვილს ნიადაგზე. მემარტენის მეფეების სულმძღვა-
ნელობის ქვეშ თავის ხრონიკებში აღნიშვნენ ისტორიულ მსჯე-
ლობას საქართველოსას და ქართული ფუძელიც იბეჭდება ქართუ-

ლის წარწერებითა (Langlois, Essai de classification des suites monetares de la Géorgie, 1860, p. 3—10). მართლაც, ცხადად ჩანს სომხური ისტორიის გავლენა ქართლის-ცხორების თავდა-პირველ თქმულებასზე; მაგრამ თვით სომხეთის მწერლებს საიდანა აქვთ შემოტანილი თავიანთი უძველესი თქმულება? სიროიულისა და განსაკუთრებით ბერძნულის წყაროებიდან. ამ შემთხვევაში ანც ქართული, ანც სომხური წყაროები არ გვაძლევენ ნამდვილ გარდმოცემას ერთობა და მეორის ნათესაურობას. ჩვენ ვერ უარ-ვეთვთ შემდეგშიანც სომხურ გავლენას ქართლის-ცხორებაზე; მაგრამ ამასთანავე ცხადია აგრეთვე ჩვენის ისტორიულის მწერლობის ზედ-მოქმედება სომხურ მატრიანებზე. ამ საგანზე ზოგიერთ საბუთს თავის ადგილს ვუჩვენებთ.

თუ ისტორიულ ჭეშმარიტებად აღვიანებთ იმ აზრს, რომ ეგვიპტელთ მუშანე, დახადების მოსოხნი ანუ მოსხნი, ახლანდელნი ძესხნი და ჭკრდოტის ტიბარენნი, სტრახონის ტიბერნი, აგრეთვე კოლხნი შეადგენდენ ქართველ ნათესაობას, მაშ ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ ძველის-ძველად ამ ტომის სჭერია «როგორათაც მთელი სივრცე ჭაღისის მდინარით, მცირე აზიაში, შავის ზღვის პირამდე და მთელი აღმოსავლეთი მხარე ამ ზღვისა, აგრეთვე ის ადგილები, რომელნიც მტკვარსა და რახს, ანუ არაქს შუა მდებარებენ». თუმცა ბ. შატერავს ეჭვი შემოაქვს მოსხებისა და კოლხელების ქართველ ნათესაობაზე, მაგრამ იგი ამ ეჭვის საბუთს ვერას გვაძლევს. დაუმატებთ აქ, რომ კოლხების უცხო-ტომობაზე პირველად განსვენებულმა უსლარმა გამოთქვა თავისი აზრი, რომელსაც ის ამყარებდა ჭკრდოტის ზღაპარ-თქმულობაზე, ვითომც მეთოთხმეტე საუკუნეში ქრისტეს წინაღ ეგვიპტის მეფეს სუნო-

სტრისს შავი ზღვის პირად დაესახლებინოს ეგვიპტელები და ვითომც ამათგან მომდინარეობდენ კოლხიდელები (Усларъ, Древнѣйшія сказанія о Кавказѣ, 395—410). ამ აზრის წინააღმდეგი აზრი ეჭვ გარეთ აქვთ ასლანდელ ევროპიელ არსეოლოგთა და სხანს კიდევ კვალი რადესმე ქართველთ ნათესავის გავრცელებისა შემოსხსენებუფს სივრცეზე. მამასადაძმე, არ უნდა იყოს წინააღმდეგი ისტორიულის სიმართლისა, თუ ჩვენ იმ აზრს დავადგებით, რომ ქართველ ნათესაობას უნდა დაენერგა მესსიერებაში თავის წინა-პართ მოძრაობა სამსრეთით და რადგანაც იგი ბიბლიონო-ასსირიის მოსამძღვრე ყოფილას, თავისი ზეპირ-სიტყვაობა ბიბლიონო-ასსირიის ზღაპრულის ისტორიისთვის შეუკავშირება და შემდეგ გადასხვაფერებული დაბადებისა და სომხურის წყაროების გავლენით ჩაწერილას ჩვენს მატთანში. თქმულება ერთ-შთანამაგულობაზე ქართველთა და სომხთა არ არის ძველი თქმულება. ამ თქმულებას არ იხსენიებენ სომხეთის პირველნი მემატთანნი მარ-აბასკატინა, მოსე ხორენელი და სხვანი. ის არის მოგონილი, ჩვენის ფიქრით, მოსამძღვრეობის გავლენითვე ქართველთ მწერალთაგან და მითვისებული იმ სომხურ მემატთანეთაგან, რომელნიც, როგორც მაგ., მშიტარ ანელი (მეთოძმეტე საუგ.) სტეფანოზ ორბელიანი, ვარდან დიდი და მშიტარ არივანჭელი (მეტამეტე საუგ.) ჩვენ მემატანეთ გავლენის ქვეშ იყვნენ.

დიდ განცვიფრებაში შედის ბ. პროტესორი, როდესაც მას მოჭყვას ქართლის-ცხოვრების თქმულება, ვითომც თავ-დაპირველად ქართველების ენა სომხური იყო, ვითომც შემდეგ ფარნაკაზ მეფემ მთელს საქართველოში გასცაო ბძანება, რომ ყველამ ქართული ილაპარაკოსო. — «გასაკვირველია, რომ ქართველ სახელ-წოდებათა ბერძნულმა დაბოლოებამ, როგორათაც

ქართლ-ის, მცხეთი-ის, უიფლ-ის, და სს. არა თუ არავისში
არ აღძრან. პოეტისტი და ლიმილი, არამედ საზოგადოდ გავრ-
ცელებულნი არისო იგი და ხალხის არათო ისტორიულ მნიშ-
ვნელობასაც უჩვენებსო და ამ ძანტრანის ნაწარმოებს თვით
ევროპეული მენტეონი, იმათ შორის სენ-მარტენი, შეცდო-
მადი შეუყვანიაო. რადგანაც პატრიარქის ზოგოერთა გამონა-
წერთა საზოგადოდ ეჭვი აღძრეს ხვენში მათ სინამდვილეზე,
აქაც ქართული ენის გამო ეჭვში შეუდით და მივმართეთ ტექ-
სტს და ამ რა აღმოჩნდა. ქართლის-ცხოვრება ამ საგანზე ამ-
ბობს: «...აქამოდის (ესე იგი, ვიდრე სსკა-და-სსკა ტომი-
მოგროვდებოდა საქართველოში) ქართლისიანთა ენა სომხური
იყო, რომელსა ზრახვიდეს». მომეტეულ ვარანტებში, რომ-
ელნიც პეტრეზურში იწოდება, ნათქვამია: «აქამოდის ქარ-
თლისიანთა ენა მხალად ქართული იყო». (იხილეთ ქართლ-
ცხ., გვ. 25 და შენიშვნა 3). «ფარანავსმა განავრცო ენა ქარ-
თული (მარამ დედოფლის ვარანტით, ენა ქართლისა) და
არღარა იზრახებოდა სსკა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართუ-
ლისა (მარამის ვარანტში, ქართლისა) და მანვე შექმნა მწიგ-
ნობრება ქართული» (გვ. 32).

ამ გამონაწერის საფუძველზე ხვენ შეგვიძლიან რამდენიმე
დასკვნა დავდეთ, მაგრამ შეიძლება თუ არა ის მსჯელობა და-
ვამყარეთ, რომ ძველი ქართლის-ცხოვრება უნდა იყოს დაწე-
რილი სომხისაგან და ისიც მეთორმეტე საუკუნეში, ეს თვით
მეოთხეულისთვის მიგვიჩვენებს. — რაიცა შეეხება ბერძნულ დაბო-
ლოებას ზოგოერთის სახელ-წოდებისას, ამ საგანზე სსკების ყუ-
რადლებაც იყო მიქცეული; რა არის აქ გასარტებელი? მოვოგო-
ნეთ, რომ ქრისტეს წინადავე მეექვსე საუკუნედაც მთელი აღ-
მოსავლეთი პირი შავის ზღვისა მოფენილი იყო ბერძნების

კოლხნიებით და, უეჭველია, ამ კოლხნიებს უნდა ჰქონიყო გაკლენა ქართველებზე. ამ აზრს აცხადებენ ქართლის-ცხვრება: «და შევიეს ქართველთა ბერძენიცა და მოკლეს ერისთავი სპარსთა»... «გამოვიდეს ბერძენნი აფხაზეთით, რამეთუ ბერძენთა ჰქონდა ეგრისის წყალს ქვემოთ კერძი ყოველი, და იშურეს ეგრის წყლითაგან ვიდრე ცისე-გოჯამდე». რა არის მოთხრობა აზონზე, თუ არ ბრძოლა ქართველებისა გამძლავრებულ შავის ზღვის შირის ბერძნებთან? რას გვიძეგვრებს ძველი სამთავროს საკერძო სასაფლავო თავის ნაშთებით, რომელიც ამ ცოტა ხანში აღმოჩნდა, თუ არ ბერძნების გაკლენას ქრისტეს წინა-ქართველობაზე? მას რატომ არ შეიძლება, რომ თვით მათ ენასაც ჰქონიყო ზედ-მოქმედება ჩვენს ენაზე? ამ საფუძველზე აშენებს სახელ განთქმული სენ-მარტენი შემდეგს თავის მსჯელობას, თუმცა ამ მსჯელობისთვის მას პატკანოვი სასტიკად ჰკიცხავს: «ბერძნების ძეისტორიით არ გადმოუციათ ჩვენთვის არავითარი ცნობა ბერძენთ ბრძოლაზე კავკასიის ტომებთან; მხოლოდ ქართულ წყაროში ვხედავთ ამ თქმულებას, რომელიც დიონ-სასსოვარი და ჭეშმარიტებით სავსე ფაქტია» (Mém. sur l' Arm., II, 180 n. e.).

ჩვენი სიტუაცია მეტად გავრცელებულია და ამისათვის პატკანოვის შრომას თავს ვანებებთ, მაგრამ საჭიროდ ვხედავთ აქ: 1) განვიმარტოთ, რა არის ქართლის-ცხვრება, რა აზრით არის დაწერილი, და რა საბუთებს ვაძლევს თვით თავის შინაარსით თავის ისტორიულს დიონისას და 2) ვახელოთ, რაზედ არის ახლა შეხებულნი ქართული წყაროების შესწავლა და რა ღონისძიებას საჭირო, რომ ეს შესწავლა აღვადგინოთ და მკვიდრ საფუძველზე დავამყაროთ.

საქართველოს ისტორიული მატრიანე ძველის დროდაშევა

ცნობილი ქართლის-ცხვრებად. ასე უწოდეს მას «სომხური სრინიკა», ანუ უკეთ, «ქართული სრინიკა», რომელიც თავდება დავით აღმაშენებლის სიკვდილით, 1125 წ. არ იციან, როდის არის იგი თარგმნილი სომხურ ენაზე, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ეს თარგმანი ეკუთვნის დავითის თანამედროეს. «თვით ჩვენის თვალთ გვიხილავს, — ასე ახლავს მთარგმნელი თავის შრომას, — სულთმონ ბრძენის სიტყვების აღსრულებას დავით მეფეზე». დავითზე ბევრით შემდეგ რომ თარგმნილი იყო ეს სრინიკა, უეჭველია, მთარგმნელი მომავალს ცხვრებასაც განაგრძობდა. «ქართლის-ცხვრებად» უწოდეს ქართულ მატრიანეს აგრეთვე მეცამეტე საუკუნეში სტეფანოს ორბელიანი. ერთი მცხეთის გუჯარი 1546 წლისა, რომელიც ახლას საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორაში არის, მცხეთის წიგნთსაცავში, ისხენიებს, სხვათა შორის, ქართლის-ცხვრებას. ჩვენ დრომდე მოუღწევია ვახტანგ მეფეზე აღწინდელს სამს ვარნიანტს ქართლის-ცხვრებისას: ერთი, ხუცურად ნაწერი, რომელსაც აქვს იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის მიწაწერი 1725 წ., ეკუთვნის პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიას; მეორე, მხედრული, რუმიანცოვის მუზეუმშია: ორივე თურქმე შეადგენდა თეიმურაზ ბატონიშვილის გუთნილებას; მესამე, მხედრულივე, არ ვიცი ვისა, მაგრამ ამ ორი თვის წინად ჩვენ ჩავიკვარდა ხელში: ეს უგანასკნელი გადაწერილია, როგორც ზევით მოვიხსენეთ, 1636—1646 წ. როსტომ მეფის ცოლის მარიამ დედოფლისათვის. ჩვენ იმედს არა ვკარგავთ, რომ სხვა ძველი ვარნიანტებიც უნდა აღმოჩნდეს საქართველოს კერძო სასწავლებელში და მონასტრებში.

ჩვენ უმიზეზოდ არ ვუწოდებთ ქართლის-ცხვრების დედნებს ვარნიანტებად. რამდენი დედანიც კი არის ახლას სხვა-და-

სხვა დროისა, ყველა განსხვავდება ერთი მეორეში თავის შინა-
აწილით და, რაც ძველია დედანი, ისე განსხვავებაც მეტია. ქარ-
თლის-ცხორების დაბეჭდვის დროს ბრასსე სელმძღვანელობდა
ოთხისა თუ ხუთის ძველისა და ახლის დედნით და თვითუ-
ლის მათთაგანის დირს-სახსრუკარი განსხვავება ჩართულია და-
ბეჭდილს ქართლის-ცხორებაში; მაგრამ, საუბედუროდ, ისეა
ჩართული, რომ თუ შედ-მიწევნით არა გაქვთ ცოდნა ამ სა-
განსე, თქვენ არ შეგიძლიანთ შეიგნოთ, რა ეკუთნის ძველს
დროს და რა — ახლას. ამის გამო თქვენ იბნევიან და აუც-
ლებლად შეცდომასში შესდისართ. აქ საჭიროა დიდი და სან-
გრძობივი შრომა, რომ ეს შეცდომა აიცილოთ თავიდან; საჭი-
როა შემოწმება ძრანცუხულის თარგმანისა ქართულის ტექს-
ტით, რადგანაც თარგმანი სან-და-სან ქართულსე დაშორებუ-
ლია; საჭიროა შედარება ერთის ვარნიტისა მეორესთან, შეთა-
ნასწორება უცხო ქვეყნების სრულყოფიასთან და მოთხრობას-
თან, და სს. ამ გვარმა შეთანხმებამ აღმოაჩინა შემდეგი თვი-
სებანი ქართლის-ცხორებისა.

1) თუ თქვენ მარტო ზალეოგრაფიის მხრით განიხილათ
ქართლის-ცხორების ვარნიტებს, უტკეულად დაწიშუნდებით,
რომ ქართლის-ცხორება იწერებოდა იმ დროს, როდესაც მხედ-
რული ჯერ არ არსებობდა და მხოლოდ სუცურნი ანბანი იყო
გავრცელებული. როგორც ვიცით, სუცურში ზოგიერთი ასოე-
ბი, მაგ. შ და ბ, ტ და ძ, ი და ლ ერთმანეთში ძნელად გა-
ნიძრევა; ამის გამო მწერლებს ძველადვე ეს ასოები სიტყვებში
აურეკვიათ და ამ მიზეზით ვითხულობთ მაგიერ შიომისა, არ-
შაკისა, არდაშირისა, მობიდანისა, შაბურისა, ახადისა, შანქო-
რისა, ჯვანშურისა, დარვალანისა, მურღულისა — ბიობ, არბაკ,
ადრბიდრ, მოშიდან, ბაბურ, აშად, ბანქორი, ჯვანბურ, დარ-

დალანი, მუძღული, და სს. ეს შეცდომილება სშირია და იმი-
სი კვადი დაჩენილია თვით მეთორმეტე საუგუნის «სომ-
სურ სწონიკაში», რომელიც ზევით მოგვისსენეთ და მეცამეტე
საუგ. მსიტარ ზირივანჭედის «სწონოლოგიურს ისტორია-
შიაც».

2) თვით ლექსთა-წყობა და ჯამანტიუული ფორმები ძვე-
ლის ქართლის-ცხოვრებისა აღმოჩენენ საგრძნობელს განსხვა-
ვებს, თუმცა მათ მომავლის საუგუნოების კალმის კვადიც კი
ეტყობა. გარდა ამისა, ვზოულობთ იმისთანა ლექსებს, რომ-
ელნიც შემდეგ საზოგადოდ არიან მიღებული, მაგრამ ძვე-
ლად კი ან არ იხმარებან, ან განსხვავებული აზ-
რით იხმარებან, მაგ. ბიძა, ჰაჰა სულ არ ამოვიით-
ხვის; ამათ მაგერ იხმარება მამის ძმა, დედის ძმა, მამის მ-
მა, თარგმანი — იხმარება მთარგმნელის ნაცვლად: «კანანელ-
თა თარგმანთა», «მოუწოდა თარგმანსა». სშირია სეფე და
ამ ლექსიდგან წარმომდგარი რთული სიტყვა: სეფეშილი, სე-
ფეჭალი, სეფეწული, სეფისპირი, სეფე მწიგნობარი, სეფენი
ჭეყანისანი. მუნთქვესვე ნაცვლად სიტყვისა მეფესეულად:
«და ითქვა მხედველ მუნთქვესვე»; «და მუნთქვესვე განიურ-
ნა». ხარაგა სულ ძველად, შემდეგ სარგი, მასუგან სარაჯა,
სულ ბოლოს სარჯი. სანანები ნაცვლად სიტყვისა საზღვარი,
გარეშემო ადგილები: «სანასები ქართლისა»; «სანასები მუსნა-
რისა;» «არენი და სანასებნი შიდა ქართლისანი.» მ ა გ ე თ ს ი
— შვიდეულის მაგერ ან სწორის სწორისა: «დაიბანაკეს
მსგეთსი ერთი»; «დაჭევეს მუნდ მსგეთსი ერთი.» მრავალია
ქართლის ცხოვრების ძველს ნაწილში ამ კვადი ლექსები, რომ-
ელთაც იგივე მნიშვნელობა აქვთ თვით სახარების უძველეს
ვარიანტებში და სხვა მანუსკრიპტებში. სხვა-და-სხვა ფაქტებით

განსვენებული ბრძოლა ამტკიცებს, რომ ქართული სუთასიანი ანუ სირიული ქრონიკონი შემოღებულია 780 წელს ქრისტეს შემდეგ. ამ საგანზე რა საბუთებს გვაძლევს ქართლის-ცხოვრება? სულ ძველად ქართლის-ცხოვრება ხმარობს სრულყოფილად ბერძნულის წესით: ანუ დასახამადგან სოფლისა, ანუ ქრისტეს შობილად თუ ამაღლებილად; სანდახან რომლისაჲ სანთლო შემთხვევილად, მაგ. «სვეტის-ცხოვრების აღმართებილად»; «მიწვანილგან ვიდრე...» და სხვ. სუთასიანი ქრონიკონი პირველად ქართლის-ცხოვრებაში იხმარება აშოტ-გურგენის დინასტიის სიკვდილის ჩვენებაში. აშოტი მეფობდა 786—826 წლამდე. ეს ის აშოტია, რომელსაც მოისსენებს ოპისის მონასტრის წარწერა. შემდეგ ამისა ქართლის-ცხოვრება ყოველთვის სუთასიანი ქრონიკონს ხმარობს.—ერთ დროსვე შემოდიხ ეს ქრონიკონი ავრეთვე ეკლესიების წარწერებში და მანუაგრძობების მინაწერებში. აქ უნდა შევნიშნათ ერთი დიდი-საყრდენი შემთხვევა, როგორც ახლად გამოძიებამ დასკვნა, არაბული ტიპრები შემოტანილად ინდოეთილად პირველ საუკუნოებში აღექვანდრის ნუგუნდინიებში და შემდეგ მეტვე საუკ. მითვისებული არაბებისაგან. ყველაზე ადრე კი არაბული ტიპრები უხმარიათ ქართველებს ძველის ტიპრების წარწერებში, რომლებშიც ამ ტიპრებს იგივე ძირები აქვს, როგორც ინდოეთში უხვენებენ (Mél. Asiat., II, 7778; V, 73—74). ძველი ქართლის-ცხოვრება შეიქმნა ერთს დიდად შესამდინებს ძაგტსა, რომელიც გვაძლევს შეურყეველს საბუთს თავის სინამდვილისა. აი ეს ძაგტი: ქართ.-ცხოვრებაში გვარამ-გურგენის დროდამ (826—876) ტაოს ანუ სემო-ქართლის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს—მიფლობელთა და იმათ სახლის წულთა უწოდს მამიულთად. ლექსი მამიული ურდის შემდეგის საუკუნოების მთავარს და იხმარება მხო-

ლოდ მკათე საუკუნის გასვლამდე, როდესაც მამოფლები ერთ-მხერობულობის დასასრულის გამო საქართველოში გაქვნიენ. ამავ ლექსს სმარობს, როდესაც ტაოს-მხერობულთ შუკვება მკათე საუკუნეში ბიზანტიის მწერალი კოსტანტინე პარტიკონიკი, და სმარობენ აგრეთვე იმავე დროისათვის მეთერთმეტე საუკუნის მემტიანე სტეფანოს ანოლიკი და სხვა-და-სხვა ქართული მანუსკრიპტები და გუჟრები. სავკირველია, რომ ლექსი მამოფალი ზემო-ქართლის სასლვრებს თითქმის არ გასცილუბია და ამასთანავე მეთერთმეტე საუკუნეიდან არც მატანეებში, არც სხვა ძველ მწერლობებში აღმოვიითხება.

3) ჩვენ ზემოთვე მოვისხენეთ, რომ ქართლის-ცხვრების წერა იწყობა ქართველთა მიერ ქრისტეს აღსარების მიღების დროდამ. გუჟონდა თუ არა ანბანი ანუ ალფაბეტი მირისნ მეთვის დროს, ამის ქაქტი ჟერ არ არის, თუმცა ექვ გარეთუნდა ვიქნინოთ ისიცა, რომ ჩვენში სულ პირველად იმარება სუტური ასო-მთავრული, საიდანაც მუშეიდე და მერვე საუკუნეიდან იბადება სუტურივე წვრილი ანბანი და აქედამ მკათე საუკუნეიდან მხედრული, რომელსაც მეთერთმეტეიდან მეთორმეტე საუკუნე ჟერ ვიდევ სუტური ასოების თვისება აქვს. რომ სუტური ასო-მთავრული ძველად-ძველია, რომ იმიდგან მომდინარეობს ორივე დანაშთენი ანბანი, ამის დასამტკიცებელს საბუთს გვამლევინ ძველი ჩვენი მანუთები (მეხუთე საუკუნეიდან), ძველი მანუსკრიპტები (მეხუთეიდან მუშეიდე საუკ.); ჟვარის მონასტრის წარწერანი (მუშეიდე საუკ.) და უძველესი გუჟრები; ამ საბუთთაგან ზოგნი ასლ ჩვენ ხელში გვაქვს. ეს აწრი ქართულ ალფაბეტებზე მარტო ჩემი აწრი არ არის. აი რას ამბობს ამ სავანეზე ბატონი-შეილი თეიმურაზი: «რომელიმე მეთორმეტე ჩვენნი გულ-მსიტყველობენ, რომელ სუტური იყო პირველ ფარ-

ნავაზისადაც» (იხ. იმისი ისტორია, 116). ჩვენ არ ვიცით, ვინ არიან ეს მეისტორიანი, მაგრამ როდესაც სულ ძველის ჩვენის მწერლობის პალეოგრაფიის განხილვაში შესდინართ, ცხადად ვხედავთ, რომ შეუძლებელია ჩვენს აღძვარებულ იმ დროს ის სისრულე და ის ძაბვების მშვენიერება ქქონიყო, თუ რომ იმას მანამდე წამდინიძე საუკუნე არ გაეგლო.

რომ ჩვენს ძველ მწერლობას ზოგიერთი საკუთარი ნამდვილი ცნობები ქქონია მიწიანზე უწინდელს საქართველოზე, რომ მიწიანის დროდამდე, არა თუ იწერებოდა ქართული ისტორია, არამედ გავრცელებულიც კი ყოფილა უცხო-ქვეყნების მწერლებში, ამ აზრს აცხადებებს, ჩვენის თქმით, შემდეგი ისტორიული ძაბვები:

ა) ფარნავაზის მეფობაში (302—237 წ. ქრისტეს წინ) ქართლის-ცხვრება ისენიებს ასურისტანის ანუ სირიის მეფედ ანტიოქოზს. ანტიოქოზი იმ დროს რომ იყო და უკანასკნელი მათგანი მეფობდა 261—244 წ. ეს ანტიოქოზი უნდა ვხვდეთ მხედველობაში ქართლის-ცხვრებას. მიწვანოს I-ს დროს (162—112) სირიის მეფეა ანტიოქოზი და სომხეთისა არშაკი. მართლაც, ხუთთა ანტიოქოზთა შორის უკანასკნელი მეფობდა 112—94 წ. და სომხეთში არშაკი 127—113 წ., მეფე ფარნავაზი (112—93). ქართლის-ცხვრებით ამას შემოაქვს ქართლში «სჯული დედული», ანუ ცეცხლის მსახურება. ქართლის ერისთავნი სომხის მეფეს გამოსთხოვენ შემწეობას და შეიღეს მეფედ. მართლაც, ამ დროს სპარსეთში გაძლიერებული იყო ცეცხლის-მსახურება და სომხეთის მეფე არტაშეს I იყო მკაცრი კვრპთ-მსახური. აქ ისტორიული წინააღმდეგობა არა არის-რა, რადგანაც ჩვენი და უცხო ტომთა მოთხრობა ერთმანეთს ეთანხმება.—არტაგ (81—66). ამ არ-

ტაგს ანტაგესად იხსენიებენ ზომიერების დროს რომელიც მის ტორონი დიონ ვასიუსი და აზზანნი.—ადრევი (2 წ. ქრ. წინ—55 ქრ. შემდეგ). რომელიცავე ცნობით იბერიის მეფე მიტრიდატის შვილი ფარსმანი სომხეთის მეფედ სვამს თავის უმცროსს ძმას მიტრიდატს. ეს ცნობა არ არის მოხსენებული ქართლის-ცხოვრებაში, მაგრამ 55—72 წ. მეფობენ ბარბომ და ქრთაში და 12—87 ფარსმანი: ქართლის-ცხოვრებით პირველის მეფობაში ვესპასიანმა წარმოსტყუვნა იერუსალიმი; მეორის მეფობაში სომხეთში მეფობს იანვანდი, რომელიც მიუღო საზღვარი ქართლისა. სომხური წყაროს ჩვენებით ეს არის ერვანდი (58—78), რომელსაც ვითომც მართლად დაეპყრა ნაწილი ქართლისა. ერთი ქვა ბერძნულის წარწებით, ნახვანი ამას წინად მცხეთის მასლობლად, მოიხსენებს 75 წელს «ვესპასიანისაგან აღშენებს ციხისას კვირისა და რომელიცავე მეფობის იბერიის მეფის ფარსმანისა და იამაზდის შვილის მიტრიდატისათვის». — ქართლის-ცხოვრებით, 113—122 წ. ჩვენში მეფობს ფარსმან II. შემოთ ხსენებული დიონ ვასიუსის თქმით, ადრიანე იმპერატორის დროს (117—138) მეფე იბერიისა ფარსმანი ალხანიაში—ზოგიერთის მანუსკრიპტების თქმით—ალხანიაში—იწუბს დიდს რძიანობას, რომელიც გრძელდება მიდიასში, სომხეთში და კავკასიაში. ამ ფარსმანისათვის რომში ბელანის ტაძარში აღუმართავთ სასწრაფო ძეგლი.

ბ) ქრისტეს სჯულის შემოტანას ქართლში წმ. ნინოსაგან, მირონიის დროს (262—342) მოგვიითხრობენ მეოთხე საუკ. ბერძენთ მწერალთაგანნი რუფინი და სოზომენი და მეხუთე საუკ. სომხთაგანი მოსე სორონიელი, — მოუთხრობენ იმ გზად, რომ არ შევიდნენ არ იფაქროთ, — იმით ხელში

უნდა ქქონიერთ ჩვენი სრინიკა: ისე ზედ-მიწევნით ეთანხმე-
ბიან ამ უგანასკუნელსა. თქვენ ფიქრს აცხორებებს ის ქაქტიც
ხორენელის შესახებ, რომ სორენელი თავის ისტორიაში მო-
იხსენებს ქართველთ სუფე-წულებს. ეს ცნობა, ჩვენის აზრით,
იმას უნდა ამოგვითხას ჩვენს წყაროში. — ვარან-ბაგურის (377
— 393) შვილი მურვანოზ, მონაზონობაში წმ. ჰეტრე, დიდ
ხანს მოღვაწეობდა პალესტინაში, სადაც ეპისკოპოსად აღეს-
რულა. ამის ცხადება, მის მოწაფისგანვე აღწერილი, ჩვენამ-
დეა მოღწეული. ამ აღწერის ცნობას სიტყვა-სიტყვით იმო-
კებს თავის მსოფლიო ისტორიაში მეცამეტე საუკუნის სი-
რიელთ პატრიარქი მიხეილ დიდი (იხილე Langlois, *Chro-
nique de Michel Le Grand patriarche des Syriens*,
1868, გვ. 153—154). საიღამ, თუ არ ქართულის წყარო-
ებიდან? — ჩვენ დრომდე მოღწეული მეშვიდე საუკუნის რამდე-
ნიმე წარწერა ჯვარის-მონასტრისა, მცხეთის მახლობლად მთა-
ზე, წარმოგვიგებს იმ დროის საქართველს მღვდმარეობას
და სრულებით ეთანხმება ქართლის-ცხადების თქმულებას. რე-
გორც ვიცით, მეექვსე და მეშვიდე საუკ. საქართველს საბერ-
ძნეთის გავლენას ეჭვმიდებამდობდა. — ჯვარის მონასტრის ქან-
დაგი გვიჩვენებს სურათებს მთავრის სტეფანოზ I-ის (600—
619) ძმის დიმიტრისას, ადარნასესას (619—639) და ადარ-
ნასეს შვილის სტეფანოზ II-სას (639—663): იმათში ადარ-
ნასე იხსენიება იპატოსად, სტეფანოზი პატრიარქად. ესეც საბუ-
თი: მეშვიდე საუკ. არაბთა სარდალი საბიბი სტეფანოზ II-ს
პატრიარქადვე უწოდეს. — ამ გვარი ქაქტები მეშვიდე საუკუნეიდან
მრავლდება, ამისთვის არ არის საჭირო, რომ ყველასე შევ-
დგეთ. მხოლოდ ერთადე სიტყვა ვიდე. ჩვენ ზემოდ მოვი-
ხსენეთ კონსტანტინე პატრიარქის წყარო ზემოდ-ქართლის

ბაგრატიდებზე. კოსტანტინე წარმოგიდგენს იმათ გენეალოგას მეტსრე საუგ. გასულიდამ ვიდრე მეთერთმეტე საუგ. დამდეგამდე. ეს გენეალოგია თითქმის იგივეა, რაც არის ქართლის-ცხოვრებისაგან გადმოცემული შთამომავლობის სე.—ამ ცოტასანში აღმოჩნდა ერთი ძველი ტყავზე ნაწერი გუჯარნი ბაგრატ მე-IV-სა (1027—1372), შვილითურთ გიორგით. ამ გუჯარს საგნად აქვს მამულის სამხცვრებზე დაგა ოპიზართა და მიჯნამოქელთა ჭეჭრისის სეობაში. გუჯარში მოხსენებულია სადავო საგანზე ძველი გუჯარები გვარამ მამიფლისა, ერისთავთ ერისთავის გურგენისა, ბაგრატ IV-ს პაპის ბაგრატ III-სა და მამის გიორგისა. არაერთარ წინააღმდეგობას ამ გუჯარისას არა ვმოუგულბოთ ქართლის-ცხოვრების ცნობაში: ამ ცნობით გვარამ მამიფალი + 883 წ., ერისთავთ ერისთავი გურგენ + 968; მეოთხე მეთუე გურგენ + 1008 წ., შვილი მისი ბაგრატ III მეოცობდა 979—1014; შვილი ამისი გიორგი I 1014—1027; შვილი გიორგისა ბაგრატ IV 1027—1072 და შვილი ამ ბაგრატისა გიორგი კურატპაჯატი 1072—1088.

გ) რა მნიშვნელობას აძლევენ როგორც ძველად, აგრეთვე შემდეგში სომხეთის მწერალნი ქართულ წყაროებს, აი ამისი დამამტკიცებელი საბუთი. ჩვენ ვუჩვენეთ ზემოთ ასომხური სწონიკა» ანუ უკეთ «ქართული სწონიკა», ქართულიდამ სომხურად ნათარგმნი მეთორთეტე საუკუნეში. გარდა ამისა, ერთმა «ასიურის სასოგადოების» წევრთაგანმა, რომელიც ქართულის ისტორიის შესწავლას შეუდგა, განსვენებულმა შულცმა, თავის არხეოლოგიურ მოგზაურობაში 1830 წ. აღმოაჩინა სომხურ ენაზე სწონიკა, რომელიც იმის სიკვდილის შემდეგ—შულცი მოკლეს ქურთებმა—იმის ქალაქებში იპოვეს. ეს სწონიკა შეიცავდა წელთ-აღწერას 1201 წლიდამ 1755

წლამდე. მისი თანგმანი იწყო სენ-მარტენმა და, როგორც აღმოჩნდა, ის სწორივით აწის ერთი ვარსკვლავიანი ქართული-დამ სომხურს ენაზე ნათანგმანი, ჩვენი მატინა, თვით ვასუტის ისტორიისში ჩართული. — ყველას სმენია სახელი ერთის გამომჩენილის ტაოს ანუ ზემო-ქართლის ბაგრატიონის დავით დიდის გუგუტატიონისა, რომლის სიკვდილს მოახსენებენ 1001 წელს. დავითის მოღვაწეობას და მეტადვე მისვან წარგზავნას ქართულის ლაშქრისას ბიზანტიის იმპერატორის შესწავნულად, ბარდა სულიაროსზე, რომელმაც მთელი ბიზანტია ააღივან, მოგვიტანს ბიზანტიელნი, სომხეთის მწიქალნი: აზოლივი და ლაზდვივი, ზარზმის წარწერა და სხვა ქართული წყაროები. დაწვრილებით ამხავს ამ გალასქრებზე გადმოგვრემს ერთი მანუსკრიპტი, ტყავზე ნაწერი ათისა და თერთმეტის საუკუნისა, რომელიც ეგუთნის ივერის მონასტრის ათონისას და რომელიც იქილამი მოიტანა ამას წინაღ ბენედიკტე ბერმა და ჩვენ შემთხვევა მოგვცა იმის განხილვისა და შემოწმებისა სხვა წყაროებთან. აღმოჩნდა, რომ ამ წყაროდამ გამოჟრეფია ცნობა დავითზე, როგორცათაც ქართლის-ცხორებებს, აგრეთვე თვით აზოლივს: ისე ეთანხმება რაივე ეს წყარო ათონის მანუსკრიპტს, რომ ჩვენს აზრზე ეჭვი არ შეიძლება. — რასაც რომ ვარდნი დიდი ანუ სტეფანოსი რაბელიანი (ბენედიკტე საუკ.) საქართველოზე ჩვენ მოგვიტანს, ყველა ამ მოთხრობას ეტყობა ქართული მწიქლობის კვალი: ცხადია, რომ იგი თითქმის მთლად აწის გამოჟრეფილი ჩვენის წყაროებიდამ. თვითონ ვარდნი დიდიც და სტეფანოსიც უჩვენებენ ამ წყაროს. ვარდნი ამბობს: «ივერის მეფეთა ისტორიისში» იმათზე აი რა აწის რა ნათქვამი, როგორც ამას ძველადი მხატვარი მოგვითხრობს. ეს მხატვარი, ანუ ლად ცნობილი, როგორც ამტკი-

ტებენ, სცხოვრებდა მეოთხედი სსუგ., მაგრამ იმისი ისტორია აქამომდე დაკარგულია. ამ მხიტარს თვით სტეფანოზიც მოხსენებს და ამასთანავე სტეფანოზს ხელში ქქონია, როგორც სხანს, ნამდვილი ქართლის-ცხოვრება, რომელსაც ის ამ სახელსვე უწოდს (იხ. Всеобщ. исторія Вард. вел., изданіе Эмина, Москва, 1861, стр. 115—116; Brosse, Histoire de la Siounie, 1 livr, p. 212).—გიდეკ ერთი საბუთი ქართლის გაკლების სამხურ წყაროებზე. მეცამეტე სსუგუნის გასულს სცხოვრებდა სხვა მხიტარი ანრივანქელი, რომელსაც შეუდგენია «სწორალგოური ისტორია». ყოველივე, რაც ამ ისტორიაში ცნობასა საქართველოზე, ბრძენსეს გამეუკლევიან და ჩაუთავს Les Ruines d' Ani-ში, p, 160—174. თავის ისტორიაში, სხვათა ცნობათა შორის, მხიტარს შეუტანია სია საქართველოს კათალიკოზებისა და მეუკებისა. როგორც თვითვე ამბობს მხიტარი, მას აქ დედნად ქქონია ქართული წყარო. ეს წყარო ყოფილა სუცური, რადგანაც იგი არმავს უზენებს არბავად, ჯვანშერს—ჯვანშერდაც და ჯვანბერდაც. ამასთანავე მხიტარის ცნობები ეთანხმება უფრო მარამ დედოფლის ქართლის-ცხოვრებას, ვიდრე აკადემიის კარბანტსა: კათალიკოზთა სიაში მხიტარი არ იხსენიებს ენონს სტეფანოზ II-ს დროს, სვიმონს გიორგი I-ს დროს, მელქისედექს, რქროზის და გიორგი ტაოლს ბაგრატ IV-ს დროს, ვაბრიელ სათარელს იმავე ბაგრატისა და გიორგი მე-III-ს დროს. ეს კათალიკოზნი არ არიან აგრეთვე მოხსენებულნი არც მარამ დედოფლისა და რუმიანტოვის მუხუუმის კარბანტებში; ნახუნებნი არიან მხოლოდ აკადემიის კარბანტში. ისიც უნდა გვასსოკედეს აქ, რომ მხიტარის ისტორია თითქმის იმ დროსვე თავდება, რა დროსაც თავდება ძველი ჩვენი ქართლის-ცხოვრე-

ბა. მნიტარს შემოაქვს აგრეთვე თავის ისტორიისში სომხურის
ასრებით ქართული სასკელები ზოდიავის ნიშნებისა და სსკათა
შეიღთა ვარსკვლავთა.

ახლა, რეკორც მკითხველი ჰხედავს, ძველის დროის
ქართლის-ცხრვრების შინაარსი არა თუ არ არის უარ-საყოფე-
ლი, არამედ მკითხვრს მუცნიერების მხრვი ყურადღებით შე-
სწავლასა და გამკვკლეუასა. რამ მამეტებული ნაწილი ქართლის-
ცხრვრებისა მირანის მეფის დროდამ თანა-მედროეთაგან იწე-
რებოდა, ამას ადგილ-ადგილ ქართლის-ცხრვრებავე ცხადად
გვიჩვენებს. ზოგიერთთა ეჭვი შექქონდათ და შეაქეთ კიდევ
ქართლის ცხრვრებაზე იმ გარემოების გამცრა, რამ ქართლის-
ცხრვრება არ იხსენიებს, რამეღი მკითხრობა როდის და
ვისგან არისო შედგენილი. ეს მართალია; მაგრამ უმთავრესი
ამისი მიზეზი, რამდის განხილვასში არანინ შესულა, იმითი
ახსენება, რამ ქართ.-ცხრვრება შეადგენდა სხვა-და-სხვა ვრცელთა
კერძო ხრწნისათაგან გამონაწერს საზოგადო საკითხავს წიგნსა.
ამ აზრის საბუთს იმისი შინაარსივე გვამლეგს, როდესც გვა-
უწეებს, მაგ., «ვითარცა წეროლ არს არც ცხრვრებასა სომქს-
თასა...» «...წიგნსა წამებისასა რიფსიმესასა (ავთანგილის
ისტორია).» «ვითარცა წეროლ არს ცხრვრებასა სზარსთა...»
...«ბერძენთასა». ...«ვითარცა წეროლ არს სრულსა ცხრვრე-
ბასა და სასწაულნი მათნი (ათორმეტთა სირიელთა მამათა)
და დაისხნეს ეკლესიათა შინა ქართლისათა და აწ ვიწყოთ შე-
მკვლებით ცხრვრება მათი». «...რამეღი თითკუულად ჰხრ-
ვრ ცხრვრებასა მათსა (ავთანისთა მეფეთასა).», «ვითარცა მკ-
გვითხრობს ძველი მატანე ქართლისა», ვითარცა მკგვითხ-
რობს ძველი მატანე ქართლისა», «ვითარცა მკგვითხრობს
წიგნი მეფეთა», «და ესე მცირედი სიტყვანი ვითარცა თეს-

ღის მკრებელმან მიმოგან თესილნი წმინდათა წერილთაგან
ერთად შემოკვრიბენ», «ვითარცა მოკვითხრობს ჩვენ აღწერი-
ლი გუჟანო, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი და წარ-
ჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით». თუძცა, რა-
გორც ეს გამოხაწიერი გვამცნევს, სიბრელ მამათა და სხვა
წმიდათა გარემოებანი მხოლოდ გაკვირით არიან ნახელები ქართ-
ლის-ცხოვრებაში და ამასთანავე იმათი შემადგენელი არ არიან
დასასულებულნი, მაგრამ მომეტებულს ნაწილს ამ წმინდათა
ცხოვრებისას ჩვენამდე მოუღწევია, რადგან ივინი ივითხუბ-
დენ ეგლეხებში, რომელც ამას მოითხროდა საეკლესიო კა-
ნონი; ამის გამო თვითოეულის მათგანის ავტორებიც ვიცით,
ვინ არიან. ამას ვერ ვიტყვიოთ სასოგადოდ საერო კვძო-
ხრონიკებზე, რადგანაც იმათ ან არ მოუღწევიათ ჩვენამდე, ან
ჟერ არ არ არიან აღმოჩენილნი. მხოლოდ ორი-სამი შემთხ-
ვევ ვიცით, რომელსაც ქართლის ცხოვრება მოიხსენებს ავ-
ტორებს. აი ეს შემთხვევანი, რომელნიც სიტყვა-სიტყვით შე-
მოგვაქვს: «წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე ვას-
ტანგისადმდე აღწერილობდა უამითი უამად. ხოლო ვასტანგ მე-
ფისიდგან, ვიდრე აქამდე აღწერა ჟვანშერ ჟვანშერძან... და
ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილდნ
და წინამდებარემან უამიან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა...»
«ესე არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოსაგან
ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა და ახლან იოანე
დეკანოზმან აღწერა». «ცხოვრება და უწყება ბაგრატონთა
ჩვენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადით მოიწივნეს ამას ქუეყ-
ნასა ანუ რომლით უამიდგან უზერეს მათ მეფობა ქართლისა,
რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისამ». რა ეგუთვნის
ქართლის-ცხოვრებაში ანუ მროველს, ანუ ჟვანშერს, ანუ იოანე დე-

კანონს არ ვიცით. არ ვიცოდით აგრეთვე აქამომდე, რა ეკუთვნოდა სუშბატს, რადგანაც ამასვედ მხოლოდ შენიშვნა მიწერილი ძველს აგადემიის ვარაიანტში; მაგრამ როდესაც მარამ დედოფლის ვარაიანტი გავხსრივეთ, ვნახეთ, რომ აქ სუშბატის სრონიკა მთლად ცალკეა შეტანილი ქართლის ცხოვრების ტექსტში, იწუობა მეშვიდე საუკუნიდამ და თავდება მეთერთმეტე საუკუნიში ბაგრატ მეოთხეს დროს. დაბეჭდილს ქართლის-ცხოვრებაში ვი დავლევდი და აქა იქ გაფანტული. სუშბატის ვინაობაზე ცნობა არა გვაქვს. ჩვენის ფიქრით, ის უნდა იყოს ტაოკლთ ბაგრატიდთაგანი, რადგანაც ამ ბაგრატიდების ისტორია ქართლის-ცხოვრებაში ეკუთვნის სუშბატს. ამასთანავე მხოლოდ ტაოკლთ ბაგრატიდებთა შორის ვპოულობთ რამდენსამე სუშბატს დავითის ძეთა. იქნება იგია უკანასკნელი სუშბატ, რომლის სიკვდილსაც ქართლის-ცხოვრება უჩვენებს 1011 წელს და თუმცა სუშბატის სრონიკა ცოტათი იმის სიკვდილს ვადასცილდება, მაგრამ შესაძლებელია, რას ეს შემდეგი სხვამ განაგრძო. ამ გვარადვე უნდა იყომ აქა-იქ ქართლის-ცხოვრებაში დახსნული თვით მრთელისა, ჯვანშერისა და იოანე დეკანოზის სრონიკები. ვნახოთ, იქნება ესეც აღმოჩნდეს რომელსამე ვარაიანტში.

სემო-სსენებულთ ცნობათა გარდა, ჩვენამდე მოუღწევია სხვა ცნობათაც ძველს ქართულ წყაროებზე, რომელნიც არ ვიცით, სად იპოვებან, კერძო სასწავლებში, თუ მონასტრების წიგნთა-საცავებში. მაგალითებრ, სად არის ბაგრატ მეფისაგან შკათე საუკუნიში შედგენილი «ათხასყეთის ისტორია», საიდან იერუსალიმის პატრიარხს დონსითეოსს მენვიდმეტე საუკ. ადგილობრივ გამოუკრეფია თავისი ცნობები და რომელნიც ქართლის-ცხოვრების ცნობათაგან განსხვავდებიან? სად არის ანუ

ის ისტორია, რომელიც, როგორც ვახუშტი გვარწმუნებს, ვახუშტანგ მე-VI-ს ზმანებით იყო შედგენილი გიორგი ბრწყინვალის დროდამ თვით ვახუშტანგ მეფემდე, ანუ ის მასალა, რომელიც ვახუშტისკენ ქქანია თავის გეოგრაფიისა და ისტორიის წყაროდ, ესე იგი, ამბერული ძველი გარიგების წიგნი, დავითნი მესხური, სუთ წიგნად განყოფილი *), ამბერული სძლისპირი ეტრატზე, ტლაშაძის აღმოწერილი ქორთნიკონები, გუჯარნი ბარათიანთა, თუშანიანთა და სხვათა...» (იხ. ქართ.-ცხოვ., II, 237)? სად არიან ის სსკა-და-სსკა გვარნი წყარონი, რომელთაც ბატონი-შვილი თეიმურაზ მოახსენებს თავის ისტორიაში და რომელნიც თვით იმას ქქანია სეღში.

ბევრი შრომა გვჭირდება საქართველოს წარსულის ცხოვრების გამოკვლევისათვის. ჩვენ უნდა გამოვიძიოთ და ცნობაში მოვიყვანოთ, სადაც კი, საქართველოში, თუ იმის გარეშე, კერძო სასწავლოში თუ მონასტრებში დაცულია ჩვენი სწავნიკები. ჩვენ უნდა გადმოვწეროთ, თუ გადმოვსაზროთ ძველის კვლევისათვის კვდლებიდან, მხუსკრიბებებიდან და საკვლესიო სამკაულებიდან ისტორიული მინაწერები, რომელნიც ბლომად მოიპოვებან და რომელნიც, რამდენადაც დრო გადის, იმდენად ჩვენის დაუდევრელობით იღუპებიან. ჩვენ უნდა შევისწავლოთ შინაარსი გუჯარებისა და სიგელებისა, რომელნიც გასაოცარს სამრავლეს შეადგენენ ამბერ-ამბერის საქართველოს კეთილ-შობილთ

*) ამ მესხურ დავითნზე, რომლიდამაც ათიოდე ფურცელი განსვენებულის პ. იოსელიანის ბიბლიოტეკაში ვიპოვე და რომელიც შეიცავს დიდად ღირს საცნობელს ცნობებს, იხილე ჩემი წერილი «Источники истории Вахушта», второй выпускъ Извѣстій Кавказскаго Общества истории и археологи.

სახლებში და სასამართლოებში, რომელთ მნიშვნელობა ცხადად ჩანს იქიდან, რომ ზოგიერთი იმათგანი სიტყვა სიტყვით არის შეტანილი ჩვენს ძველსა და ახალს ქართლს-ცხოვრებაში და რომელთა მხოლოდ მცირედის ნაწილის შესწავლით თვით ბრას-სემ საქართველს ჰოლიტიკურს და საზოგადოებრივს ცხოვრებას ნათელი მოჭფინა. ჩვენ უნდა გავიცნათ ჩვენ წინა-პართ ნაწარმოები, საეკლესიო და საერო, რომელნიც ჩვენის წარსულის ყოფა-ცხოვრებას და ეკონომიურ მდგომარეობას გამოგვის სიტყვენ, ანუ გვიჩვენებენ წარმატებას სხვა-და-სხვა ხელოვნებაში, ხელ-საქმობაში, არსიტექტურაში, მანუსკრიპტების მინიატურებაში (წვრილი მხატვრობა) და ტაძრების მხატვრობაში, რომელთ შესწავლით შეგვიძლიან, სხვათა შორის, შევიგნოთ, რა დროს, სადა და სად, რა და რა ტან-საცმელი გვექონია. ჩვენ უნდა ჩვენის წყაროები შევამოწმოთ უცხო ტომთა წყაროებით, სომხურით, სირიულთ, ბერძნულთ, რომაულთ, არაბულთ და სხვ. როდესაც ყველა ეს ცნობები გვექნება შემოკრებილი და შესწავლული, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ნამდვილის საქართველს ისტორიის შედგენა.

აი, ჩემის ფიქრით, ჩვენის ისტორიის შესწავლის პრეგნანსა. მართლაც, ძნელია ეს საქმე; ძნელია გაფანტულისა და მიმალულის მასალის შემოკრეფა; ძნელია იმათი მცნიერული შემოშავება ჩვენის მოუძნადებლობის გამო ამ გვარის მოღვაწეობისათვის, ჩვენის უღონისძიებობის გამო. მაგრამ თუ საზოგადოდ ვგრძნობთ საკუთარის ისტორიის შესწავლის საჭიროებას, ყველა დამბრკოლებულ შემთხვევათა თავიდან აცილება ადვილია. არის ჩვენში უმაწვილ-კაცობა თბილისში და თბილისს გარეთ საზოგადო სწავლით შეიარაღებულად: განსაკუთრებულის ანუ სპეციალურის მომზადებისათვის საჭიროა მხოლოდ შრომა და იმ მეტოდის

შეცდომის გასწორება

დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
2 გვ. 16 სტ. ვარ — — — —	გვრ
3 გვ. 9 სტ. ადგას — — — —	ადგა
16 სტ. ისტორიასე — —	ისტორიასე
28 სტ. ჩვენის — — —	ჩვენის
5 გვ. 15 სტ. სამღვდელთ — —	სამღვდელთ
11 გვ. 10 სტ. ქართლის. — —	ქართლის
15 გვ. 26 სტ. განსკვნებულმა — —	განსკვნებულმა
18 გვ. 10 სტ. და — — — —	და
20 გვ. 18 სტ. განისილათ — —	განისილათ
21 გვ. 23 სტ. მსგებსი — — —	მსგებსი
22 გვ. 22 სტ. 7778 — — —	77,78
28 გვ. 28 სტ. მოგვითხრობს —	მოგვითხრობს
29 გვ. 6 სტ. Brosse — — —	et
30 გვ. 18 სტ. ვითარცა წერილ არს არც ცნოვრებასა	ვითარცა წერილ არს ცნოვრებასა.
33 გვ. 26 და 27 სტ. ერთი წინადადება რჩვერ არის და- ბეჭდილი ავითარცა მოგვითხრობს ძველი მატრიანე ქართლისა	
31 გვ. 14 სტ. ან ჯერ არ არ არიან	ან ჯერ არ არიან
32 გვ. 16 სტ. რას — — — —	რამი

გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი ისტორიული წიგნები უფ.
დიმიტრი ბაქთაძისა.

1, საქართველო, პირველი წიგნი— — — —	50
2, წმ. ნინო და მირიან მეფე — — — —	10
3, პონტის მეფე მიდრიტად დიდი— — — —	10
4, ახალი გამოკვლევა, პირველი წიგნი— — — —	20
5, საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე — — — —	20
6, საქართველოს მეფე მახთანგ მეექვსე — — — —	15
7, ანდრია მოციქულის დროს საქართველო — — — —	10
8, საქართველოს ისტორიის წყაროები — — — —	20

947.922(093)

8 325

1885 წ. მარტის თვეში, თბილისში გამოვა უაღრესად
წიგნად, სახელდობრ:

«თ ა ნ ა მ მ ღ რ ო ვ მ»

წიგნში დაბეჭდილი იქნება სხვა-და-სხვა ნაწარმოებნი.
თუასი თითო წიგნისა ერთი მანათი.

გამომცემელი ზ. ჭიჭინაძე.
